ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1

ინტერნეტით მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი იანვარი 2021 წ.

სააქციო საზოგადოება "გლობალ ერთი" (შემდგომში "გლობალ ერთი"), ს/კ 201949918, ფაქტიური მისამართი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45, გენერალური დირექტორის გიორგი მაჩიტიძის სახით, ერთის მხრივ და სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის საგუნდო კაპელა, ს/კ 205308647, წარმომადგენლის დირექტორის ნინა კოვზიაშვილის სახით (შემდგომში "აბონენტი"), მეორეს მხრივ, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ინტერნეტ-მომსახურების მიწოდება.

CPV კოდი: 72400000 – ინტერნეტმომსახურებები, კერძოდ 72411000 - ინტერნეტმომსახურების პროვაიდერები

(მონეტარული ზღვრის დაცვის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საქართველის კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3-მე მუხლის პირველი პუნქტის $ს^1$ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-2-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. შესყიდვის წყარო – **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი**)

1.2 აბონენტი უკვეთავს, ხოლო "გლობალ ერთი" უზრუნველყოფს აბონენტს შემდეგი სახის მომსახურებით:

- ინტერნეტის ქსელით სარგებლობა 24 საათის განმავლობაში, არა სამუშაო დღეების ჩათვლით;

სიჩქარე გლობალური 4 მბიტ/წ, სიჩქარე ლოკალური 8 მბიტ/წ; ღამის სიჩქარე გლობალური 4 მბიტ/წ

- ფაქტობრივი სიჩქარე 4 მბიტ, მაქსიმალური სიჩქარე 5 მბიტ, მინიმალური ხელმისაწვდომი სიჩქარე 1 მბიტ;

- ჯიტერი <60 მილიწამი

- დაყოვნება <650 მილიწამი

- დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი <4 %

მუხლი 2. მომსახურების გაწევის წესები და პირობები

2.1.მომსახურების გაწევის წინა მოსამზადებელი სამუშაოები იწყება მხოლოდ ხელშეკრულებაზე აბონენტის მიერ ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

აბონენტის უფლება-მოვალეობები:

3.1 აბონენტი უფლებამოსილია ისარგებლოს "გლობალ ერთი"-ს მიერ მოწოდებული მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში.

3.2. აბონენტი უფლებამოსილია "გლობალ ერთისგან" მიიღოს სატელეფონო კონსულტაციები ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით 24 საათის განმავლობაში (სატელეფონო ნომერი 2 43 77 74), რომელიც შეიძლება წარმოიშვას მას ინტერნეტით მომსახურების გაწევის პროცესში და ამასთანავე სამუშაო დღეებში ისარგებლოს "გლობალ ერთი"-ს ტექნიკური სამსახურის თანამშრომლის გამოძახებით უფასოდ, თუ დაზიანება ან მომსახურების შეფერხება გამოწვეულია "გლობალ ერთი"-ს ბრალით (ყველა სხვა შემთხვევაში ტექნიკური დახმარება არის ფასიანი).

3.3. აბონენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების საფასურის გადაანგარიშება, თუ "გლობალ ერთი"-ს მიერ მომსახურების მიწოდება ხორციელდება შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება და იგი ერთი კალენდარული დღის განმავლობაში იგი აღემატება 3 საათს.

3.4. აბონენტი ვალდებულია უზრუნველყოს გლობალ ერთის წარმომადგენელთა დაშვება თავის ტერიტორიაზე ქსელში ჩართვის სამუშაოების ჩასატარებლად, აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის საინსტალაციოდ.

3.5. აბონენტი ვალდებულია დროულად დაფაროს გლობალ ერთის მიერ გაწეული ინტერნეტ მომსახურების გადასახადი;

3.6. აბონენტი ვალდებულია არ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობის უფლება.

3.7. მომსახურების გასაწევად გამოყენებული "გლობალ ერთი"-ს ტექნიკური მოწყობილობების დაზიანების ან\და დაკარგვის შემთხვევაში "აბონენტი" ვალდებულია გლობალ ერთს აუნაზღაუროს მათი ღირებულება სრულად 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.8. აბონენტი ვალდებულია გლობალ ერთის მომსახურების ფორმისა და ტარიფების ცვლილებების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1(ერთი) კვირის ვადაში წერილობით გამოხატოს მისი პოზიცია აღნიშნული ცვლილებების თაობაზე. გლობალ ერთის მიერ აბონენტისაგან აღნიშნულ საკითხზე წერილობითი პასუხის მიუღებლობა ჩაითვლება ცვლილებებზე თანხმობად.

3.9. აბონენტის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გლობალ ერთის მიერ აბონენტისათვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს აბონენტს სავარაუდო მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

"გლობალ ერთის " უფლება-მოვალეობები:

3.10. გლობალ ერთი ვალდებულია გაუწიოს აბონენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებაში აღწერილი წესებისა და პირობების სრული დაცვით.

3.11. გლობალ ერთი ვალდებულია მომსახურების თანხის გადახდისას აღუდგინოს აბონენტს მომსახურების მიწოდება არაუგვიანეს თანხის გადახდიდან 1 (ერთი) სამუშაო დღისა;

3.12. მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, შესაძლებლად უმოკლეს ვადებში შეამოწმოს შეწყვეტის ან შეფერხების მიზეზები და აღმოფხვრას იგი;

3.13. გლობალ ერთი ვალდებულია მოახდინოს მომსახურების საფასურის გადაანგარიშება 1 დღეზე, თუ მის მიერ მომსახურების მიწოდება ხორციელდება შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება და იგი ერთი კალენდარული დღის განმავლობაში იგი აღემატება 3 საათს.

3.14. გლობალ ერთი იღებს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში აბონენტთან დაამონტაჟოს თავისი კუთვნილი ტექნიკური ტექნიკური მოწყობილობა ნანობიმ M5-400 ღირებულებით 270,00 ლარი.

3.15. მომსახურების ღირებულების მე-4 მუხლით მოცემულ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში "გლობალ ერთი" უფლებას იტოვებს შეუჩეროს აბონენტს მომსახურება.

3.16. გლობალ ერთს უფლება აქვს შეცვალოს მომსახურების ფორმა და ტარიფები, რის შესახებაც ვალდებულია შეატყობინოს აბონენტს არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა ცვლილებების განხორციელებამდე. აბონენტის შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 900 ლარს.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება (სააბონენტო გადასახადი) შეადგენს 75,00 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.3. სააბონენტო გადასახადის გადახდა წარმოებს საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა;

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1.იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი მესამე პირი უკანონოდ შეაღწევს აბონენტის საინფორმაციო სისტემაში, გლობალ ერთის თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რადგან მისი ვალდებულება შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემების გადაცემით. აბონენტი პასუხისმგებელია საკუთარი საინფორმაციო სისტემის დაცვაზე მესამე პირის მიერ აღნიშნული სისტემის არალეგალური ხელყოფისაგან.

5.2.“გლობალ ერთი” ღებულობს ყველა ზომას აბონენტისთვის არასასურველი ელექტრონული კორესპოდენციის მიწოდების აღსაკვეთად და უზრუნველყოფს საკონტაქტო ხაზის არსებობას, რომელიც დაეხმარება მომხმარებელს არასასურველი ელექტრონული კორესპოდენციის შესახებ ინფორმაციისა და პრევენციული ღონისძიებების მიღებაში.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1.მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი გარემოებების არსებობის გამო, რაც მოიცავს (მაგრამ არ იზღუდება) სტიქიურ უბედურებებს, სამოქალაქო ომს და ნებისმიერ საბრძოლო მოქმედებებს, ცვლილებებს კანონმდებლობაში და ა.შ.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისთანავე, ვრცელდება 2021 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრამდე. თუ აბონენტი, ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე გლობალ ერთს წერილობით არ აცნობებს მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება ერთი წლით.

7.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, გლობალ ერთის მოთხოვნით, აბონენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მომსახურების შეწყვეტიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში;

7.3. აბონენტის მოთხოვნით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეწყვეტის თარიღის დადგომამდე 14 დღით ადრე "გლობალ ერთში" გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე 7.4. პუნქტის პირობის დაცვით.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეები ყველა ღონეს იხმარენ, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები გადაწყდეს მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს ან საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება ან ცვლილება ძალაში შედის მხარეთა უფლაბამოსილ პირთა ხელისმოწერის შემდეგ.

9.2. აბონენტის დარღვეული თუ სადაოდ ქცეული უფლებების აღდგენის საფუძველს წარმოადგენს საჩივარი.

9.3.. საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით ან ზეპირი ფორმით ცხელ ხაზზე: 243 91 43;

9.4. გლობალ ერთი ვალდებულია საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში

9.5..ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი:
სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა	ს.ს. "გლობალ ერთი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ.უზნაძის 68	0117, თბილისი ვაჟა-ფშაველასგამზ. 45
ს/კოდი: № 205308647	ს/კ № 201949918
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	სს "ხალიკ ბანკი საქართველო" ბ/კ: **HABGGE22** ანგ. № GE70HB0000000013143602
კაპელის დირექტორი	ს.ს. "გლობალ ერთი"-ს გენერალური დირექტორი
___________ /ნინა კოვზიაშვილი/	___________ /გიორგი მაჩიტიძე/ JSC Global Erty Digitally signed by JSC Global Erty Date: 2021.01.27 16:55:27 +04'00'